



# ანგარიში საქართველოში საბანკო დანებარების შესახებ 2019

---



# ანგარიში საქართველოში საგარეო დახმარების შესახებ 2019



## საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

დონორების კოორდინაციის სამმართველო  
0114, თბილისი, საქართველო, ინგოროყვას 7  
ტელ: (+995 32) 299 09 00  
dca@gov.ge  
www.eaims.ge  
www.gov.ge

*ეს ანგარიში შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ პროექტის ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია და იგი შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.*

# სარჩევი

დიაგრამების ჩამონათვალი .....	3
ცხრილების ჩამონათვალი .....	3
აკრონიმების სია .....	4
პრემიერ-მინისტრის წინასიტყვაობა .....	5
შეჯამება .....	7
შესავალი – მიზანი და მეთოდოლოგია .....	9
დონორების კოორდინაციის სისტემა.....	11
საერთაშორისო დახმარება .....	13
წლიური დახმარება – 2019 .....	16
თავი 2: დახმარება თემატური მიმართულებების მიხედვით .....	17
ეკონომიკური ზრდა .....	18
საგარეო დახმარება:.....	19
ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება.....	20
საგარეო დახმარება: .....	21
სოციალური კეთილდღეობა და ადამიანური კაპიტალის განვითარება.....	22
საგარეო დახმარება:.....	23
დემოკრატიული მმართველობა, კანონის უზენაესობა და მართლმსაჯულება .....	24
საგარეო დახმარება:.....	25
თავი 3: 2015-2019 წლების შედარება.....	28
დანართი 1. ....	31
დანართი 2. ....	32

## დიაგრამების ჩამონათვალი

დიაგრამა 1. დახმარების მოცულობა 2015-2019 წლებში.....	7
დიაგრამა 2. განვითარების ოფიციალური დახმარების წილი დახმარების ტიპების მიხედვით.....	8
დიაგრამა 3 დახმარების ტიპები მრავალმხრივი და ორმხრივი დონორების მიხედვით .....	8
დიაგრამა 4 ათი უმსხვილესი დონორი დახმარების ტიპის მიხედვით (ძველი ტიპოლოგია) .....	11
დიაგრამა 5 ათი უმსხვილესი დონორი დახმარების ტიპის მიხედვით (ახალი ტიპოლოგია).....	12
დიაგრამა 6 მრავალმხრივი და ორმხრივი დონორების მიერ გაწეული მიმდინარე კუმულაციური დახმარების მთლიანი მოცულობა .....	14
დიაგრამა 7 უდიდესი გამსესხებლები 31.12.2019 -ის მდგომარეობით (კაპიტალი, ათასობით აშშ დოლარში) .....	14
დიაგრამა 8 დახმარების ნაკადების თემატური განაწილება.....	15
დიაგრამა 9 2019 წლის ხუთი უმსხვილესი დონორი .....	16
დიაგრამა 10 მრავალმხრივი და ორმხრივი დონორების მიერ გაწეული დახმარება 2019 წელს .....	16
დიაგრამა 11 2019 წლის წლიური დახმარება ტიპების მიხედვით.....	17
დიაგრამა 12 მიმდინარე კუმულაციური დახმარება მოცულობის.....	19
დიაგრამა 13 ეკონომიკური ზრდის უმსხვილესი დონორები დახმარების მოცულობის მიხედვით 20	
დიაგრამა 14 დახმარების წილი ქვესექტორების მიხედვით (ზუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება) .....	21
დიაგრამა 15. უმსხვილესი დონორები.....	22
დიაგრამა 16 უმსხვილესი დონორები მოცულობის მიხედვით (ადამიანური კაპიტალი და სოციალური კეთილდღეობა).....	23
დიაგრამა 17 დახმარების წილი განათლებაში (ადამიანური კაპიტალის განვითარება) .....	24
დიაგრამა 18 უმსხვილესი დონორები (დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა) ..	25
დიაგრამა 19 განვითარების ოფიციალური დახმარება 2015-2019 წლებში .....	28
დიაგრამა 20 უმსხვილესი მრავალმხრივი დონორები მოცულობის მიხედვით (2015-2019) .....	28
დიაგრამა 21 უმსხვილესი ორმხრივი დონორები მოცულობის მიხედვით (2015-2019).....	29
დიაგრამა 22 ხუთი უდიდესი დონორი (2015-2019).....	29
დიაგრამა 23 დახმარების ტიპები (2015-2019) .....	30
დიაგრამა 24 დახმარება თემატური მიმართულების მიხედვით (2015-2019).....	30

## ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1. 2019 წლის ათი უმსხვილესი დონორი დახმარების მოცულობის მიხედვით .....	13
ცხრილი 2 ორმხრივი დონორები, რომლებიც დაფინანსებას მხოლოდ გრანტების ან ტექნიკური დახმარების სახით გასცემენ (ლარში).....	15
ცხრილი 3 დახმარების სახეობა (ლარში).....	15
ცხრილი 4 ფინანსური ალოკაციების შედარება .....	17
ცხრილი 5 დაფინანსება ქვესექტორების მიხედვით.....	23
ცხრილი 6 დახმარება ქვესექტორების მიხედვით (დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა) .....	26
ცხრილი 7 დახმარება სხვა სექტორებში.....	27
ცხრილი 8 ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები 2019 წელს (ლარში).....	30

## აკრონიმების სია

- AA** ასოცირების შეთანხმება
- ADA** ავსტრიის განვითარების სააგენტო
- ADB** აზიის განვითარების ბანკი
- AFD** საფრანგეთის განვითარების სააგენტო (Agence Française de Développement)
- AGWP** მთავრობის ყოველწლიური სამუშაო გეგმა
- AIIB** აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი
- AGoG** მთავრობის ადმინისტრაცია
- BAU** ბიზნესის წარმოების ჩვეული რეჟიმი
- BDD** ძირითადი მონაცემები და მიმართულებები
- CoE** ევროსაბჭო
- CRS** კრედიტორების ანგარიშვალდებულების სისტემა
- CRPD** გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ
- DAC** განვითარების დახმარების კომიტეტი
- DCFTA** ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე
- DCU** დონორების კოორდინაციის სამმართველო
- eAIMS** საგარეო დახმარების ინფორმაციული მართვის სისტემა
- EBRD** ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
- EG** ეკონომიკური ზრდა
- EIB** ევროპის საინვესტიციო ბანკი
- ENPARD** სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა
- EU** ევროკავშირი
- Eur** ევრო
- GDP** მთლიანი შიდა პროდუქტი
- GEF** გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი
- ლ** ქართული ლარი
- GG** დემოკრატიული მმართველობა
- GHG** სათბური აირები
- GoG** საქართველოს მთავრობა
- HCD** ადამიანური კაპიტალის განვითარება
- IDA** განვითარების საერთაშორისო ასოციაცია
- IFC** საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
- IFIs** საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები
- IMF** საერთაშორისო სავალუტო ფონდი
- INDC** ეროვნულ დონეზე განსაზღვრული კონტრიბუცია
- IOM** მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
- KfW** გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი
- LEPL** საჯარო სამართლის იურიდიული პირი
- NATO** ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია

- NBSAP** ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა
- ODA** განვითარების ოფიციალური დახმარება
- OECD** ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
- PA** საჯარო სამსახური
- PAR** საჯარო სამსახურის რეფორმა
- PFM** საჯარო ფინანსების მართვა
- PLN** პოლონური ზლოტი
- RDP** რეგიონული განვითარების პროგრამა
- RLJ** კანონის უზენაესობა და მართლმსაჯულება
- SDC** შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო
- SDG** მდგრადი განვითარების მიზნები
- SEK** შვედური კრონა
- SIDA** შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო
- SMEs** მცირე და საშუალო ზომის საწარმოები
- SNR** ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება
- SWD** თანამშრომლების სამუშაო დოკუმენტი
- TA** ტექნიკური დახმარება
- TSA** მიზნობრივი სოციალური დახმარება
- UK** გაერთიანებული სამეფო
- UN** გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
- UNDP** გაეროს განვითარების პროგრამა
- UNFAO** გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
- UNFCCC** გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია
- UNFPA** გაეროს მოსახლეობის ფონდი
- UNHCR** გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი
- UNICEF** გაეროს ბავშვთა ფონდი
- USA** ამერიკის შეერთებული შტატები
- USAID** ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო
- USD** აშშ დოლარი
- WHO** მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია

## პრემიერ-მინისტრის წინასიტყვაობა



2019 წლის წლიური ანგარიში საქართველოში საგარეო დახმარების შესახებ რთულ პერიოდს დაემთხვა. ბოლო წლების ბევრი ეკონომიკური თუ სოციალური მონაპოვარი პანდემიის გლობალურმა გავრცელებამ დააზიანა. ამ სირთულეების მიუხედავად, უწყევია ჩვენი მთავრობის გადაწყვეტილება, მჭიდროდ ვითანამშრომლოთ სერთაშორისო პარტნიორებთან და დავრჩეთ ევრო-ატლანტიკური კურსის ერთგული. ეს ანგარიში კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ამ ერთგულებას, ისევე, როგორც საქართველოს მიერ დადებულ პირობას, შეასრულოს მდგრადი განვითარების მიზნები.

საქართველო თავისუფლებას, უსაფრთხოებას, ადამიანის უფლებებსა და ეკონომიკურ განვითარებას მიიჩნევს მისი კეთილდღეობისა და ინკლუზიური განვითარების ქვაკუთხედად. 2019 წელს დასრულდა მდგრადი განვითარების მიზნების (მგმ) ნაციონალიზაციის პროცესი

და ამ ანგარიშის მომზადებისას, 2020 წლის ზაფხულში, საქართველომ მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმზე მეორე ნებაყოფლობითი ეროვნული ანგარიში წარადგინა.

საქართველოს მთავრობა მუშაობს ყველა მოქალაქისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად, რაც მოიცავს განათლებაზე, მათ შორის, პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდას, გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციას და ქალთა უფლებების დაცვას, მცირე ბიზნესის ხელშეწყობას, ასევე ადგილობრივი მუნიციპალიტეტების აღჭურვას შესაბამისი საშუალებებით, რომ მათ შემლონ ადგილობრივი საჭიროებების დაკმაყოფილება. მოკლედ რომ ვთქვათ, საქართველოს მტკიცედ აქვს განზრახული, “არავინ დარჩეს განვითარების მიღმა“.

საქართველომ სწრაფად და ეფექტურად უპასუხა კორონავირუსის პანდემიას. მადლობას ვუხდით ჩვენს პარტნიორებს, რომლებმაც დახმარება გაგვიწიეს და საქართველოსადმი მტკიცე სოლიდარობა გამოხატეს.

არც ერთ მთავრობას არ შეუძლია, გეგმები მარტომ შეასრულოს. ჩვენ ვეყრდნობით ჩვენი ხალხისა და პარტნიორების მხარდაჭერას. ეს ანგარიში შესანიშნავი მაგალითია, თუ რას შეიძლება მივაღწიოთ ჭეშმარიტი და თანასწორი თანამშრომლობის შედეგად.


გიორგი გახარია

საქართველოს პრემიერ-მინისტრი

## შეჯამება

2019 წლის წლიური ანგარიში „საქართველოში საგარეო დახმარების შესახებ“ საერთაშორისო პარტნიორების მიერ საქართველოსთვის გაწეულ დახმარებას მიმოიხილავს. ანგარიში დახმარებას აანალიზებს ტიპებისა და თემატური მიმართულებების მიხედვით. მთლიანობაში, საქართველოსთვის გაწეული საგარეო დახმარების ტენდენციები თანხვედრაშია ქვეყნის რეფორმების პრიორიტეტებთან.

2019 წელს, საქართველოსთვის გაწეული დახმარება, ჯამურად, წინა წელთან შედარებით 40%-ით გაიზარდა და 21.5 მილიარდი ლარი შეადგინა. (იხ. დიაგრამა 1)




დიაგრამა 1. დახმარების მოცულობა 2015-2019 წლებში

აქვე, აღსანიშნავია რამდენიმე საკითხი:


- ყველა თემატური მიმართულების დაფინანსება გაიზარდა. დაფინანსების ყველაზე მაღალი ზრდა - 75% დაფიქსირდა „ადამიანური კაპიტალის განვითარების“ ჯგუფში.
- მთლიანი დაფინანსების 80% მოდის სესხებზე, გრანტებსა და გარანტიებზე - 13%. დარჩენილი დაფინანსება გაიცა ტექნიკური დახმარების (ექსპერტები და მატერიალურ-ტექნიკური დახმარება<sup>1</sup>) და ჰუმანიტურული დახმარების სახით.
- სესხებისა (85.3%) და გრანტების (61.8%) უმეტესი ნაწილი მოდის მრავალმხრივი დახმარების გამწვევ ინსტიტუტებზე.
- ორმხრივმა დონორებმა დაფინანსება გასწიეს გრანტების/გარანტიების ან/და ტექნიკური დახმარების ფორმით, თუმცა ზოგმა ორმხრივმა დონორმა, მაგალითად ავსტრიამ, საფრანგეთმა, გერმანიამ, იაპონიამ, ნიდერლანდებმა და აშშ-მ, სესხებიც გასცეს.

<sup>1</sup> ანგარიშში მატერიალურ-ტექნიკური დახმარება განისაზღვრება, როგორც დახმარება ტექნოლოგიის, კომპიუტერული პროგრამების და ტექნიკის მეშვეობით.





დიაგრამა 2. განვითარების ოფიციალური დახმარების წილი დახმარების ტიპების მიხედვით



დიაგრამა 3 დახმარების ტიპები მრავალმხრივი და ორმხრივი დონორების მიხედვით

## შესავალი – მიზანი და მეთოდოლოგია

ამ ანგარიშის მიზანია, წარმოადგინოს 2019 წელს საერთაშორისო პარტნიორების მიერ საქართველოსთვის გაწეული მიმდინარე კუმულაციური დახმარების სრული სურათი. ანგარიში მიმოიხილავს მთავრობის პრიორიტეტულ რეფორმებს და, პარიზის დეკლარაციის პრინციპების შესაბამისად, მიზნად ისახავს, დაუკავშიროს რეფორმები მიღებულ დახმარებას.<sup>2</sup> ანგარიში ასევე მოიცავს განახლებულ ინფორმაციას მთავრობის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ მდგრადი განვითარების მიზნების შესასრულებლად.

ანგარიში ეყრდნობა e-AIMS მონაცემთა ბაზაში<sup>3</sup> არსებულ მონაცემებს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მონაცემთა ბაზას საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დონორთა კოორდინაციის სამმართველო მართავს. ბაზაში მოცემულია საერთაშორისო პარტნიორების მიერ ნებაყოფლობით შეტანილი მონაცემები (როგორც წესი, მომდევნო წლის მასში). 2019 წელს e-AIMS სისტემა განახლდა და გაუმჯობესდა (იხ. თავი 1). ანგარიშში ასახული ყველა ძირითადი მონაცემი საჯაროდ ხელმისაწვდომია. რეგისტრირებულ მომხმარებლებს სისტემა სთავაზობს ინსტრუმენტებს ანალიზისა და ანგარიშგებისთვის.

ეს ანგარიში მოიცავს ორმხრივი და მრავალმხრივი დახმარების გამწევი ინსტიტუტებიდან მიღებულ განვითარების ოფიციალურ დახმარებას (ODA), როგორც ორმხრივს, ასევე მრავალმხრივს, განვითარების დახმარების კომიტეტის (DAC) ტატისტიკური ანგარიშგების დირექტივების განმარტების შესაბამისად.<sup>4</sup> ფინანსური მონაცემები მოიცავს 2019 წელს მიღებულ მიმდინარე კუმულაციურ განვითარების ოფიციალურ დახმარებას (ODA). ანგარიშში პირველად არის წარმოდგენილი 2019 წლის წლიური მონაცემები.

ანგარიში სამი თავისგან შედგება. პირველ თავში წარმოდგენილია ინფორმაცია დონორთა კოორდინაციის სისტემის შესახებ და მიმოიხილულია საქართველოსთვის გაწეული მიმდინარე დახმარება.

მეორე თავში გაანალიზებულია მიმდინარე რეფორმების 6 თემატური მიმართულება და უფრო დეტალურადაა აღწერილი დონორების მიერ გაწეული დახმარება. თითოეულ პრიორიტეტულ/თემატურ მიმართულებას თან ახლავს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვესექტორების ჩამონათვალი (CRS-ის ხუთციფრიანი მიზნობრივი კოდები) განვითარებაზე ორიენტირებული დახმარების სწორი კლასიფიკაციისთვის.<sup>5</sup>

<sup>2</sup> აღნიშნული სრულ თანხმობაშია OECD-ის მიერ გაწეულ სამუშაოსთან ახალი ღონისძიებების – მთლიანი ოფიციალური დახმარება მდგრადი განვითარების მიზნებისთვის (TOSSD) – შესამუშავებლად, რათა ხელი შეეწყოს განვითარების ოფიციალური და სრული ფინანსური მხარდაჭერის უფრო მეტ გამჭვირვალობას 2030 წლის დღის წესრიგის მხარდასაჭერად იმ რესურსების ჩათვლით, რომლებიც გამოიყო სამხრეთ-სამხრეთისა და სამკუთხა თანამშრომლობის ფარგლებში მრავალმხრივი დახმარების გამწევი ინსტიტუტებისა და ასევე ახალი და ტრადიციული დონორების მიერ. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: <http://oe.cd/tossd>

<sup>3</sup> სისტემა წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის დონორთა კოორდინაციის სამმართველოს, ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის კვლევებისა და სისტემების ანალიზის დეპარტამენტისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტის ერთობლივ პროდუქტს. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: [www.eaims.ge](http://www.eaims.ge)

<sup>4</sup> [http://www.oecd.org/dac/financing-sustainable-development/development-finance-standards/DCDDAC\(2016\)3FINAL.pdf](http://www.oecd.org/dac/financing-sustainable-development/development-finance-standards/DCDDAC(2016)3FINAL.pdf)

<sup>5</sup> სექტორის ჩაშლა თითოეული თემატური მიმართულების მიხედვით მოცემულია 1-ელ დანართში.

აღნიშნული მიმართულებებია: ეკონომიკური ზრდა, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, სოციალური კეთილდღეობა, ადამიანური კაპიტალის განვითარება, დემოკრატიული მმართველობა, კანონის უზენაესობა და მართლმსაჯულება. ამ ანგარიშის მიზნებიდან გამომდინარე, სოციალური კეთილდღეობა და ადამიანური კაპიტალის განვითარება გაერთიანებულია და მათზე ანგარიშგება ერთად ხდება; იგივე ეხება დემოკრატიულ მმართველობასა და კანონის უზენაესობას და მართლმსაჯულებას. ისეთი სახის დახმარება, რომელიც ექვსიდან არც ერთ ჯგუფს არ განეკუთვნება, ანგარიშში მოხსენიებულია, როგორც „სხვა.“


მესამე თავში შედარებულია 2015-2019 წლებში მიღებული დახმარება დონორის, ტიპის და თემატური მიმართულების მიხედვით.

## თავი 1. მიმოხილვა

### დონორების კოორდინაციის სისტემა


2015 წელს, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საგარეო დახმარების კოორდინაციის წესი<sup>6</sup>, რითაც შექმნა მექანიზმები და ინსტრუმენტები განვითარების ოფიციალურ დახმარებაზე (ODA) მთავრობის გავლენის გაზრდისთვის. მთავრობის მიზანია, დონორების დახმარება ეროვნულ პრიორიტეტებს შეუსაბამოს, როგორც ეს დახმარების ეფექტურობის საერთაშორისო პრინციპებითა და მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული ვალდებულებებითაა გათვალისწინებული. დონორების კოორდინაციის სამმართველო (DCU), როგორც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის ნაწილი, განვითარებაზე მომუშავე პარტნიორებთან შეთანხმებით, მუშაობს დახმარების კოორდინაციის უფრო ეფექტური მექანიზმებისა და პროცესების დანერგვაზე. ფინანსთა სამინისტრო კოორდინაციას უწევს საგარეო ვალთან და სესხების პორტფელთან დაკავშირებულ საკითხებს.

2019 წელს, მთავრობაში შიდა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად, დონორების კოორდინაციის სამმართველომ eAIMS-ის მონაცემთა ბაზაში ცვლილებები შეიტანა. სისტემა ახლა უფრო ეფექტიანი და ეფექტურია და მისი მოხმარების გასამარტივებლად ტრენინგი ჩატარდა დონორი ორგანიზაციების ბევრ წარმომადგენელს. მე-4 და მე-5 დიაგრამები აჩვენებს ათ უმსხვილეს დონორს ძველი და ახალი ტიპოლოგიების მიხედვით.



დიაგრამა 4 ათი უმსხვილესი დონორი დახმარების ტიპის მიხედვით (ძველი ტიპოლოგია)

<sup>6</sup> მთავრობის განკარგულება №238, 2015 წლის 1 ივნისი.



დიაგრამა 5 ათი უმსხვილესი დონორი დახმარების ტიპის მიხედვით (ახალი ტიპოლოგია)

2019 წელს საქართველომ საშინაო პოლიტიკაში დანერგა 17-ვე მიზანი, 93 ამოცანა და 200 ინდიკატორი, ასევე შექმნა ინსტიტუციური სტრუქტურა, პოლიტიკის ჩარჩო და სტატისტიკური შესაძლებლობები ნაციონალიზებული მდგრადი განვითარების მიზნების განსახორციელებლად. შემუშავდა მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაციის სამოქმედო გეგმა განხორციელების პროცესში მუნიციპალიტეტების ჩართულობისთვის. 2020 წლის იანვარში ჩატარდა დონორების კოორდინაციის ფორუმი, საქართველოს მთავრობისა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. ფორუმი მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო მდგრადი განვითარების იდეების მხარდაჭერისთვის. ფორუმის ფარგლებში განიხილეს მმრათველობასთან, ეკონომიკურ პოლიტიკასთან, რეგიონულ განვითარებასთან, ადამიანური კაპიტალის განვითარებასთან, სოციალურ კეთილდღეობასთან, გარემოს დაცვასთან, სოფლის მეურნეობასა და კონფლიქტის გადაწყვეტასთან დაკავშირებული საკითხები.

2020 წლის ივლისში საქართველოს მთავრობამ მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმზე მეორე ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვა წარადგინა. ანგარიში შემუშავდა როგორც მთავრობის შიგნით, ასევე სამოქალაქო საზოგადოების დაინტერესებულ მხარეებთან ფართო კონსულტაციების შედეგად. მასში წარმოდგენილ იქნა საქართველოს პროგრესი სამ პრიორიტეტულ სფეროში: ადამიანური კაპიტალის განვითარება და სოციალური კეთილდღეობა, ეკონომიკური ზრდა და დემოკრატიული მმართველობა. ეს თემები მდგრადი განვითარების 11 მიზანს მოიცავს, თუმცა, ანგარიშის სტატისტიკური დანართი მოიცავს 17-ვე მიზანს და მასში ასახულია როგორც საბაზისო, ასევე უკანასკნელი მონაცემები. ანგარიშში გამოყენებულია მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკითხვის (MICS) შედეგები, რომელიც 2019 წლის ბოლოს გამოქვეყნდა. ეს გამოკითხვა გაეროს ბავშვთა ფონდისა და გაეროს სხვა სააგენტოების მხარდაჭერით ჩატარდა და ის მოიცავდა ნაციონალიზებული მდგრადი განვითარების მიზნების ბევრი ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებლებს.

საერთაშორისო დახმარება

ეს ანგარიში ემსახურება დახმარების ეფექტიანობის ზრდას, სახელმწიფოს გავლენისა და შესაბამისობის დონის გაძლიერებას, ანგარიშგებისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებას. წინა წლების მსგავსად, ანგარიში მოამზადა დონორების კოორდინაციის სამმართველომ ევროკავშირის დელეგაციის ტექნიკური მხარდაჭერით. ანგარიში ასახავს e-AIMS სისტემაში განხორციელებულ ცვლილებებს და კვლავაც შეესაბამება OECD-ის პრინციპებს. მან მოიცვა 2019 წელს მიღებული დახმარება, თუმცა მომზადდა 2020 წელს, COVID-19-ის პანდემიის პირობებში. საქართველოსთვის COVID-თან დაკავშირებით გაწეული დახმარება შემდეგ ანგარიშში აისახება. საკმარისია იმის თქმა, რომ პანდემიამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა მიმღებ მთავრობასა და დონორებს შორის კარგი კომუნიკაციისა და მჭიდრო თანამშრომლობის ღირებულება და კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული დახმარების მნიშვნელობა.

2019 წელს, წინა წელთან შედარებით, განვითარების ოფიციალური დახმარება 40%-ით გაიზარდა. გაიზარდა ყველა თემატური მიმართულების დაფინანსება „სხვა დახმარების“ (ვრცლად იხილეთ მე-3 თავში) კატეგორიის გარდა. დახმარების მთლიანი ოდენობის 95.4%<sup>7</sup> ათ უმსხვილეს დონორზე მოდის. როგორც ეს ნაჩვენებია 1-ელ ცხრილში, დახმარების უდიდესი ნაწილი მრავალმხრივი დახმარების გამწევ ორგანიზაციებზე მოდის.


დონორი	თანხა	თანხა	წილი
ევროკავშირის ინსტიტუტები	6,358,441,558.35 ლ	2,717,321,574.01 \$	29.55%
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	5,243,553,318.00 ლ	2,222,290,000.00 \$	24.36%
გერმანია	2,465,893,492.51 ლ	999,281,464.99 \$	11.46%
მსოფლიო ბანკი	2,057,158,902.86 ლ	955,445,897.80 \$	9.56%
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	1,577,940,000.00 ლ	663,000,000.00 \$	7.332%
ამერიკის შეერთებული შტატები	922,469,585.60 ლ	429,770,522.25 \$	4.29%
საერთაშორისო სავაჭრო კორპორაცია (IFC)	679,728,332.00 ლ	359,200,000.00 \$	3.16%
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	627,324,590.00 ლ	272,033,374.66 \$	2.91%
საფრანგეთი	320,795,771.47 ლ	109,822,010.94 \$	1.49%
აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB)	278,160,000.00 ლ	114,000,000.00 \$	1.29%
<b>10 უმსხვილესი დონორის ჯამი</b>	<b>20,531,465,550.80 ლ</b>	<b>8,842,164,844.65 \$</b>	<b>95.4%</b>

ცხრილი 1. 2019 წლის ათი უმსხვილესი დონორი დახმარების მოცულობის მიხედვით

ყველა წყაროდან მიღებული (OECD DAC-ის წევრები, DAC-ის არაწევრი პროვაიდერები და მრავალმხრივი დამხმარების გამწევი სააგენტოები) მიმდინარე დახმარება, ჯამურად, 21.5 მილიარდ ლარს (9.2 მილიარდ აშშ დოლარს) შეადგენს. ლარსა და აშშ დოლარს შორის გაცვლითი კურსი გამოანგარიშებულია მიმდინარე პროექტის დაწყების თარიღის მიხედვით და არა მიმდინარე გაცვლითი კურსის მიხედვით. მთლიანი დახმარების მონაცემები მიმდინარე დახმარებისთვის ანგარიშში ასახულია, როგორც მრავალწლიანი საბიუჯეტო ასიგნებების ჯამი, რომელშიც ჩანს დონორების მიერ საწყის ეტაპზე პროექტებისთვის გამოყოფილი დაფინანსების ჯამური ოდენობა.


<sup>7</sup> 18.9 მილიარდი ლარი მთლიანი 19.9 მილიარდი ლარიდან

საქართველოსთვის გამოყოფილი ორმხრივი ოფიციალური განვითარების დახმარების უდიდესი ნაწილი მოდის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრებზე, რომლებიც განვითარების დახმარების კომიტეტს (DAC)<sup>8</sup> შეადგენენ. საქართველოსთვის გაწეული ორმხრივი დახმარების წილი განვითარებისთვის გამოყოფილი მთლიანი დახმარების 21.2%-ს შეადგენს, მრავალმხრივი დახმარების წილი კი 78.8%-ია. 2019 წელს საქართველოს უმსხვილესი ორმხრივი დონორები გერმანია, აშშ და საფრანგეთი იყვნენ. მათზე ორმხრივი დახმარების 81.2% მოდის. მრავალმხრივი დახმარების დაახლოებით 80% კი ევროკავშირის ინსტიტუტებზე<sup>9</sup>, აზიის განვითარების ბანკსა და მსოფლიო ბანკზე ნაწილდება.



დიაგრამა 6 მრავალმხრივი და ორმხრივი დონორების მიერ გაწეული მიმდინარე კუმულაციური დახმარების მთლიანი მოცულობა

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველომ საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნის სტატუსს მიაღწია<sup>10</sup>, გასაკვირი არაა, რომ ფინანსური ნაკადების უმეტესი წილი სესხებსა და საინვესტიციო პროექტებზე მოდის. მთავრობამ შეიმუშავა სამთავრობო ვალის მართვის სტრატეგია 2019-2021 წლებისთვის. 2019 წლის ბოლოსთვის მთავრობის ვალმა მშპ-ს<sup>11</sup> 39.8% შეადგინა. ქვემოთ ნაჩვენებია უმსხვილესი გამსესხებლები<sup>12</sup>.



დიაგრამა 7 უდიდესი გამსესხებლები 31.12.2019 -ის მდგომარეობით (კაპიტალი, ათასობით აშშ დოლარში)

<sup>8</sup> მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი განვითარების დახმარების კომიტეტის სრული წევრია, სტატისტიკური და ანალიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, განვითარების დახმარების კომიტეტის პუბლიკაციებში მას ხშირად მრავალმხრივი დახმარების გამწევ ორგანიზაციად წარმოადგენენ. ეს ანგარიშიც ასახავს ამ დიქტომიას.

<sup>9</sup> ევროკავშირის დელეგაციის და ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსება გაერთიანებულია.

ევროკავშირის განვითარების დახმარების კომიტეტის სრული წევრია და, ამ ანგარიშის მიზნებიდან გამომდინარე, წარმოდგენილია, როგორც მრავალმხრივი დახმარების გამწევი ორგანიზაცია.

<sup>10</sup> <https://blogs.worldbank.org/opendata/new-country-classifications-income-level-2019-2020>

<sup>11</sup> საქართველოს მთავრობის საპარლამენტო ანგარიში – 29.05.2020

<sup>12</sup> <https://mof.ge/en/5228>

ბევრი ორმხრივი დონორი დახმარების 100%-ს გრანტებისა და ტექნიკური დახმარების სახით გასცემს. ამ ტიპის დახმარებამ 0.36 მილიარდი ლარი შეადგინა, ანუ მთლიანი დახმარების 2%.

დონორი	გრანტები	ტექ./ექსპერტ. დახმარება	მატ.-ტექ. დახმარება	ჯამ. დახ.	ჯამი
შვეიცარია	101,535,788.86	330,450.00			101,866,238.86
დანია	67,529,300.00	16,776,400.00			84,305,700.00
ნორვეგია	10,502,821.94	73,402,034.06			83,904,856.00
ბრიტანეთი	3,984,027.98	40,485,108.21	319,222.60		44,788,358.79
ჩეხეთის რესპ.	15,116,845.91	4,060,916.62	2,091,898.55		21,269,661.08
პოლონეთი	5,084,433.11	2,331,899.15			7,416,332.26
თურქეთი	274,510.48	240,873.80	6,851,813.24	17,217.00	7,384,414.52
ესტონეთი	3,143,155.33	3,378,338.50	620,819.52		7,142,313.35
იტალია	437,700.00	6,060,000.00			6,497,700.00
ბულგარეთი	984,581.16	539,151.31			1,523,732.47
ლატვია		441,101.92			441,101.92
ლიეტუვა	245,796.95	192,138.00			437,934.95


*ცხრილი 2 ორმხრივი დონორები, რომლებიც დაფინანსებას მხოლოდ გრანტების ან ტექნიკური დახმარების სახით გასცემენ (ლარში)*

რამდენიმე დონორი სხვადასხვა ტიპის დახმარებას სწევს, მაგალითად აშშ და შვედეთი უზრუნველყოფენ გარანტიებს. საფრანგეთმა ასევე გასწია გარკვეული ჰუმანიტარული დახმარება.

დონორი	გრანტები	სესხები	გარანტია	ტექ./ექსპერტ. დახმარება	მატ.-ტექ. დახმარება	ჯამ. დახ.	ჯამი
გერმანია	268,975,276.09	2,014,750,500.00		182,167,716.42			2,465,893,492.51
აშშ	260,422,362.98	8,465,932.77	2,693,051.44	470,800,723.80	180,087,514.61		922,469,585.60
საფრანგეთი	8,409,150.99	308,449,500.00		1,736,120.48		2,201,000.00	320,795,771.47
შვედეთი	189,555,333.20		5,800,000.00	12,154,882.93			207,510,216.13
ავსტრია	46,207,735.28	119,843,400.00		2,101,778.29			168,152,913.57
იაპონია	4,402,094.33	95,697,000.00		890,400.00	443,030.57		101,432,524.90
ნიდერლანდები	9,785,223.49	281,079.43		679,616.70	59,992.00		10,805,911.62
სლოვაკეთი	1,625,073.80	24,454.29		171,213.00			1,820,741.09

*ცხრილი 3 დახმარების სახეობა (ლარში)*

საქართველოს მთავრობის მიერ შერჩეული ექვსი თემატური მიმართულება მე-8 დიაგრამაზეა მოცემული და უფრო ვრცლადაა აღწერილი ანგარიშის მე-2 თავში. დახმარება, რომელიც ამ ექვს თემატურ კატეგორიას არ განეკუთვნება ასახულია, როგორც „სხვა დახმარება.“ ეს უკანასკნელი, მათ შორის, მოიცავს მრავალსექტორულ დახმარებას, ადმინისტრაციულ ხარჯებს და გადაუდებელ რეაგირებას.




*დიაგრამა 8 დახმარების ნაკადების თემატური განაწილება*




## წლიური დახმარება – 2019

ამ ქვეთავში წარმოდგენილია დონორების მიერ 2019 წელს გაწეული დახმარების მონაცემები (ანგარიშის სხვა ნაწილებისგან განსხვავებით, რომლებშიც კუმულაციური ოდენობებია ასახული)<sup>13</sup>. დახმარების მთლიანი ოდენობა 2.3 მილიარდი ლარია. ამ თანხის თითქმის 83% (1.7 მილიარდ ლარზე მეტი) ხუთ უმსხვილეს დონორზე მოდის. (იხ. დიაგრამა 9)



დიაგრამა 9 2019 წლის ხუთი უმსხვილესი დონორი


დახმარების უმეტესი ნაწილი მრავალმხრივი დახმარების გამწევ დონორებზე მოდის (იხ. დიაგრამა 10)



დიაგრამა 10 მრავალმხრივი და ორმხრივი დონორების მიერ გაწეული დახმარება 2019 წელს

დახმარების უმეტესი წილი, დაახლოებით 74%, სესხის სახით გაიცა, მას მოსდევს გრანტები (16%) და ექსპერტული დამხმარება (9%)

<sup>13</sup> e-AIMS სისტემა მოიცავს ინფორმაციას 27 დონორის შესახებ. ანალიზი ამ მონაცემებს ეფუძნება.



დიაგრამა 11 2019 წლის წლიური დახმარება ტიპების მიხედვით

## თავი 2: დახმარება თემატური მიმართულებების მიხედვით

ეს თავი მოკლედ მიმოიხილავს მთავრობის მიერ გაწეულ ძალისხმევას, რასაც მოსდევს თითოეული თემატური მიმართულებისთვის გამოყოფილი დახმარების ანალიზი.

როგორც ეს ზემოთ, მე-8 დიაგრამაზეა ნაჩვენები, ექვსი თემატური მიმართულების დაფინანსება თანაბარი არ არის (თემატურ მიმართულებებსა და ქვესექტორებზე უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი II). მთლიანი ნაკადების 60% „ეკონომიკური ზრდის“ მიმართულებაზე მოდის, რასაც მოსდევს „ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების“ მიმართულება (24.3%). ყველა სხვა მიმართულება ერთად მთლიანი დახმარების 15.7%-ს შეადგენს. ცნობისთვის, საგზაო/სარკინიგზო ტრანსპორტის ქვესექტორი, რომელიც „ეკონომიკური ზრდის“ მიმართულებას განეკუთვნება უფრო მსხვილია, ვიდრე ყველა სხვა მიმართულება ერთად. „ეკონომიკური ზრდისა“ და „ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების“ მიმართულების ზოგიერთი ქვესექტორი უფრო მსხვილია ან იმავე ოდენობისაა, რაც „სოციალური კეთილდღეობის,“ „დემოკრატიული მმართველობის,“ „ადამიანური კაპიტალის განვითარების,“ „კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულების“ და „სხვა დახმარების“ თემატური მიმართულებები. (იხ. ცხრილი 4)

მიმართულება	ოდენობა
საავტომობილო/სარკინიგზო ტრანსპორტი (EG ქვესექტორი)	8,738,970,899.03 ლ
ყველა სფერო გარდა EG სექტორისა	8,604,222,229.10 ლ
კერძო სექტორის განვითარება (EG ქვესექტორი)	3,423,478,742.58 ლ
ყველა სფერო EG და SUNR-ის გარდა	3,371,170,318.62 ლ
ენერგეტიკული პოლიტიკა და ელექტროენერჯის წარმოება (SUNR ქვესექტორი)	2,778,876,012.08 ლ
წყალმომარაგება და სანიტარია (SUNR ქვესექტორი)	1,905,666,465.27 ლ
სოციალური კეთილდღეობის თემატური მიმართულება	1,118,060,631.17 ლ

ცხრილი 4 ფინანსური ალოკაციების შედარება

## ეკონომიკური ზრდა

2019 წელს საქართველოს ზრდის მაჩვენებელმა 5.1% შეადგინა. მშპ-მა ერთ მოსახლეზე ნომინალურად 4,763 აშშ დოლარს მიაღწია. მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციის მიხედვით, საქართველომ საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებიდან საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში გადაინაცვლა.<sup>14</sup> ინფლაცია 7%-ით გაიზარდა<sup>15</sup> (პერიოდის დასასრულისთვის), რაც ლარის ნომინალური ეფექტური გაუფასურებისა და სააქციზო გადასახადის ზრდის ეფექტი იყო. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიხედვით, 2019 წელს ანგარიშის დეფიციტმა ისტორიულ მინიმუმს მიაღწია და მშპ-ს 5.1% შეადგინა, რაც, ძირითადად, ექსპორტის კარგმა მაჩვენებელმა და იმპორტის ზრდის შემცირებამ განაპირობა. ამან დააბალანსა 2019 წელს ტურიზმიდან და ფულადი გზავნილებიდან მოსალოდნელზე ნაკლები შემოსავალი. იმპორტის შემცირებულ ზრდაზე გავლენა იქონია სესხების გამკაცრებულმა სტანდარტებმა, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული იმპორტის ნაკლებმა ოდენობამ, საწვავის ფასის კლებამ და ერთჯერადმა ეფექტებმა.<sup>16</sup> საქართველოში წარმოებული საქონლის ექსპორტი 2018 წელთან შედარებით 4%-ით გაიზარდა და ისტორიულ მაქსიმუმს, 2,324.5 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია.<sup>17</sup>

საქართველო ინარჩუნებს მაღალ რეიტინგს „ბიზნესის წარმოების ინდექსში.“ მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, საქართველო მე-7 ადგილზეა და უსწრებს რეგიონის ყველა ქვეყანას, ისევე, როგორც ევროკავშირის ბევრ ქვეყანას.<sup>18</sup> 2020 წლის Heritage Foundation-ის „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში“ საქართველო მე-12 ადგილს იკავებს, ხოლო ევროპის რეგიონის 45 ქვეყანას შორის მეექვსეა.<sup>19</sup> საქართველოს ეკონომიკის უმსხვილესი სექტორებია (2019 წლის ნომინალურ მშპ-ში წილის მიხედვით) საცალო და საბითუმო ვაჭრობა (14%), უძრავი ქონება (12%), მრეწველობა (10%), მშენებლობა (9%), სასოფლო-სამეურნეო და სატყეო საქმიანობა (7%), საჯარო სამსახური, თავდაცვა და სოციალური უსაფრთხოება (7%), ტრანსპორტირება (7%), ფინანსური მომსახურება და დაზღვევა (5%). ეკონომიკის დარჩენილი წილი სხვა სექტორებზე ნაწილდება (29%). ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს ეკონომიკა მომსახურების სფეროების მიმართულებით ვითარდება. ტურიზმის სექტორი მნიშვნელოვნად იზრდება, მისი საშუალო წლიური ზრდა 2015-2019 წლებში 10%-ს შეადგენდა. საქართველო მიზნად ისახავს, რომ ტურიზმის წილი მშპ-ში 7.9% გახდეს.<sup>20</sup>

საქართველო აგრძელებს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის, სოფლის განვითარების 2016-2020 წლების სტრატეგიისა და რეგიონული განვითარების 2018-2021 წლების პროგრამის დანერგვას. 2019 წლის დეკემბერში დამტკიცდა 2021-2027 წლების სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა.<sup>21</sup> 2019 წელს დასრულდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინსტიტუციური

<sup>14</sup> საქართველოს ნებაყოფლობითი ეროვნული ანგარიში, 2020.

<sup>15</sup> <https://www.worldbank.org/en/country/georgia/overview#3>

<sup>16</sup> <https://www.imf.org/en/Publications/CR/Issues/2020/05/05/Georgia-Sixth-Review-Under-the-Extended-Arrangement-and-Requests-for-a-Waiver-of-49394>. We will be able to provide a link to the 7<sup>th</sup> review document within one month. However, the 7<sup>th</sup> review documents will have no news from 2019 actual numbers.

<sup>17</sup> <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba>

<sup>18</sup> [https://www.doingbusiness.org/content/dam/doingBusiness/pdf/db2020/Doing-Business-2020\\_rankings.pdf](https://www.doingbusiness.org/content/dam/doingBusiness/pdf/db2020/Doing-Business-2020_rankings.pdf)

<sup>19</sup> <https://www.heritage.org/index/ranking>


<sup>20</sup> საქართველოს ნებაყოფლობითი ეროვნული ანგარიში, 2020

<sup>21</sup> <https://mepa.gov.ge/Ge/Strategy>

რეფორმა და შეიქმნა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სააგენტო. 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების ზოგადი მიზნების საფუძველზე შეიქმნა საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამები კახეთში, იმერეთში, გურიაში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში და განისაზღვრა პრიორიტეტების ინვესტიციებისთვის: 1) ურბანული განახლება - ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე; 2) ტურიზმის უნიკალური პოტენციალი; 3) მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციების ხელშეწყობა; 4) ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება; და 5) ეფექტიანი ადგილობრივი ადმინისტრაცია და პარტნიორები განვითარებისთვის.<sup>22</sup>


## საგარეო დახმარება:

ეკონომიკური ზრდის თემატური მიმართულება საერთაშორისო დონორების მხრიდან დახმარების ყველაზე მსხვილი მიმღებია და მისი აქტიური/მიმდინარე დახმარება 12.9 მილიარდ ლარს (მთლიანი დახმარების 60%) შეადგენს. ამ სექტორის ძირითად ნაწილს საგზაო/სარკინიგზო ტრანსპორტის ფინანსირება წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ამ სექტორის მოცულობა 8.7 მილიარდი ლარია და ის საქართველოსთვის გაწეული დახმარების 40.6%-ს შეადგენს. საგზაო/სარკინიგზო ტრანსპორტზე გაწეული დახმარების 95% მრავალმხრივი დახმარების გამწევი ინსტიტუტებზე მოდის - აზიის განვითარების ბანკი (48%), ევროკავშირის ინსტიტუტები (37%) და მსოფლიო ბანკი (9%).



დიაგრამა 12 მიმდინარე კუმულაციური დახმარება მოცულობის და OECD სექტორების მიხედვით (ეკონომიკური ზრდა)

<sup>22</sup> 2020 წლის საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების შესრულების ანგარიში



დიაგრამა 13 ეკონომიკური ზრდის უმსხვილესი დონორები დახმარების მოცულობის მიხედვით

„ეკონომიკური ზრდის“ თემატური მიმართულების დახმარების მნიშვნელოვანი წილი - 1.8 მილიარდ ლარზე მეტი - კერძო სექტორისთვის გაწეული დახმარებაა. ამ ქვესექტორში უფრო მრავალფეროვანი დონორები არიან წარმოდგენილი, როგორც მრავალმხრივი, ისე - ორმხრივი.

### ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება

„ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების“ თემატური მიმართულება მოიცავს ენერგეტიკასთან, წყლის რესურსების მართვასთან, გარემოსთან და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. 2019 წელს, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 99% იყო ენერგოსისტემაში ჩართული. მნიშვნელოვნად გაიზარდა ბუნებრივ აირზე წვდომაც. 2015 წელს წვდომა მოსახლეობის 68%-ს ჰქონდა, 2018 წელს კი -75%-ს.<sup>23</sup>

აღნიშნულ სფეროებში 2019 წელს არაერთი მნიშვნელოვანი კანონი ამოქმედდა. 2019 წლის ოქტომბერში პარლამენტს წარედგინა და პირველი მოსმენით დამტკიცდა ტყის ახალი კოდექსი.<sup>24</sup> 2019 წლის 20 დეკემბერს პარლამენტმა მიიღო ორი კანონი - „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ და „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ.“<sup>25</sup> მნიშვნელოვანი მიღწევა იყო ნარჩენების მართვის სფეროში, როდესაც 2019 წლის 1 აპრილიდან აიკრძალა ყველა სახის პოლიეთილენის პარკის წარმოება, გამოყენება და გაყიდვა.<sup>26</sup> რამდენიმე საკანონმდებლო ინიციატივა განხილვის პროცესშია. მათ შორისაა კანონპროექტები „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ და „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ,“ ასევე ცვლილებების პროექტი კანონში „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ.“ 2019 წლის დეკემბერში, შესაბამის კანონში ცვლილების შეტანის შედეგად, ჯავახეთის დაცულ ტერიტორიას

<sup>23</sup> საქართველოს ნებაყოფლობითი ეროვნული ანგარიში, 2020

<sup>24</sup> ტყის ახალი კოდექსი 2020 წლის 22 მაისს დამტკიცდა და ძალაში 2021 წლის 1 იანვარს შევა (წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4874066?publication=0>)


<sup>25</sup> <https://matsne.gov.ge/ka>

<sup>26</sup> მთავრობის განკარგულება #472 -ის მიხედვით, 14.09.2018 (წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4325640?publication=0>)

დაემატა 4,871 ჰა ფართობის ახალი ბუნებრივი რეზერვები.<sup>27</sup>

## საგარეო დახმარება:

eAIMS-ის მონაცემთა ბაზის მიხედვით, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების თემატური მიმართულება საერთაშორისო დონორების მხრიდან დახმარების მეორე უმსხვილესი მიმღებია და მისი აქტიური/მიმდინარე დახმარების პორტფელი 5.2 მილიარდ ლარს აღემატება (მთლიანი დახმარების 24.3%). დონორების მიერ გაწეული დახმარება საქართველოს მთავრობის პრიორიტეტების შესაბამისია, როგორც ეს მე-14 დიაგრამაზეა ნაჩვენები. დახმარების უდიდესი წილი მოდის ენერგეტიკის პოლიტიკასა და ელექტროენერჯის გამომუშავებაზე. მას მოსდევს წყალმომარაგება და სანიტარია, ნარჩენების მართვა და გარემოს დაცვა.




დიაგრამა 14 დახმარების წილი ქვესექტორების მიხედვით (ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება)

ამ თემატურ ჯგუფში უმსხვილესი დონორები არიან გერმანია (42%), აზიის განვითარების ბანკი (18.7%) და ევროკავშირის ინსტრუმენტები (16.8%). დახმარების უდიდესი ნაწილი სესხებისა და საინვესტიციო პროექტებისგან შედგება, თუმცა ის ტექნიკურ დახმარებასა და გრანტებსაც მოიცავს.

2018 წლის მსგავსად, გერმანია ამ თემატური ჯგუფის უმსხვილესი დონორია. ის, 449 მილიონი ლარით, დახმარებას უწევს სამგორის სამხრეთ თაღის საბადოზე გაზის მიწისქვეშა საცავის პროექტს, რაც ამ სექტორში უმსხვილესი პროექტია.

<sup>27</sup> საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი ანგარიში 2019-2020 წლების სამტავრობო პროგრამის შესრულების შესახებ



დიაგრამა 15. უმსხვილესი დონორები

### სოციალური კეთილდღეობა და ადამიანური კაპიტალის განვითარება

მთავრობამ განათლების პრიორიტეტულობა ბიუჯეტის ზრდით გამოხატა - 2015 წელს განათლების ბიუჯეტი 818 მილიონი ლარი იყო, 2019 წელს კი 1.6 მილიარდ ლარამდე გაიზარდა. მთავრობა აგრძელებს განათლებისა და მეცნიერების ახალი ერთიანი სტრატეგიის განხორციელებას 2017-2021 წლებისთვის, რაც მოიცავს სკოლამდელ, ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებას, ზრდასრულთა განათლებას და მეცნიერებას. სტრატეგია ეფუძნება მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპს და მიზნად ისახავს ხარისხიან განათლებაზე საყოველთაო წვდომის უზრუნველყოფას.<sup>28</sup>


უმუშევრობა შედარებით მაღალია ახალგაზრდებს შორის (2018 წელს 20-24 ასაკობრივ ჯგუფში უმუშევრობა 30.8% იყო). ქალებში უმუშევრობა უფრო დაბალია (10.1%), ვიდრე კაცებში (12.8%), თუმცა სამუშაო ძალაში მონაწილეობის კუთხით მნიშვნელოვანი გენდერული სხვაობაა, 2019 წელს სამუშაო ძალაში ქალების 54.5% და კაცების 72.6% მონაწილეობდა.<sup>29</sup> მოსახლეობის 20% კვლავ სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს.<sup>30</sup> 2018 წელს მოსახლეობის 11.9%-მა (ყოველთვიური საშუალო) მიიღო მიზნობრივი სოციალური დახმარება<sup>31</sup>; 97,127 ადამიანმა (ყოველთვიური საშუალო) უნივერსალური ჯანდაცვის პროგრამით ისარგებლა. 2019 წლის ოქტომბერში დაარსდა დასაქმების ხელშეწყობის სააგენტო, რამაც დასაქმებასთან დაკავშირებული მომსახურება სოციალური მომსახურებისგან გამოიჯნა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა შრომითი ბაზრის ახალი 2019-

<sup>28</sup> საქართველოს ნებაცოფლობითი ეროვნული ანგარიში 2020  
<sup>29</sup> საქართველოს ნებაცოფლობითი ეროვნული ანგარიში 2020  
<sup>30</sup> <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done>  
<sup>31</sup> [http://ssa.gov.ge/index.php?lang\\_id=&sec\\_id=1297](http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1297)

2023 წლების სტრატეგია.<sup>32</sup> განხორციელდა 30-მდე ორმაგი საგანმანათლებლო პროგრამა პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის მონაწილეობის გასაზრდელად. 2019 წელს მიიღეს 230-მდე სტუდენტი. (2016-2018 წლებში ეს რიცხვი 620-ს უტოლდებოდა).<sup>33</sup>

## საგარეო დახმარება:

eAIMS-ის მონაცემთა ბაზის მიხედვით სოციალური კეთილდღეობისა და ადამიანური კაპიტალის განვითარების თემატური მიმართულებების დაფინანსება 1.9 მილიარდი ლარია, ანუ საქართველოსთვის გაწეული მთლიანი დახმარების 9%. ამ სექტორში უმსხვილესი დონორები იყვნენ მსოფლიო ბანკი, ევროკავშირის ინსტიტუტები და აშშ. ჯამში, ამ სამი დონორის მიერ გაწეულმა დახმარებამ ამ სექტორში მთლიანი დახმარების 72% შედგინა.



დიაგრამა 16 უმსხვილესი დონორები მოცულობის მიხედვით (ადამიანური კაპიტალი და სოციალური კეთილდღეობა)

ქვესექტორების მიხედვით, ყველაზე დიდი დახმარება მოდის სოფლის განვითარებასა და მრავალსექტორულ განათლებაზე. საინტერესოა, რომ კულტურა და ადრეული/სკოლამდელი განათლება ყველაზე ნაკლებ დაფინანსებას იღებს.

ქვესექტორი	ოდენობა
სოფლის განვითარება	565,560,055.62 ლ
მულტისექტორული სწავლება	456,512,760.31 ლ
ჯანმრთელობა	192,229,513.55 ლ
სოციალური სერვისები	153,178,597.52 ლ
საშუალო განათლება	135,301,894.80 ლ
ურბანული განვითარება	129,114,650.52 ლ
პროფესიული მომზადება	102,876,869.07 ლ
უმაღლესი განათლება	81,951,481.52 ლ
დასაქმების პოლიტიკა	75,460,981.20 ლ
სკოლამდელი/ დაწყებითი განათლება	9,292,183.66 ლ
კულტურა და დასვენება	2,516,832.76 ლ

ცხრილი 5 დაფინანსება ქვესექტორების მიხედვით


აღსანიშნავია, რომ 2018 წელთან შედარებით ადამიანური კაპიტალის განვითარების სექტორის

<sup>32</sup> საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების შესრულების ანგარიში. ერთიანი სამუშაო დოკუმენტი. თებერვალი 2020

<sup>33</sup> საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი ანგარიში 2019-2020 წლების სამთავრობო პროგრამის შესრულების შესახებ



დაფინანსება 75%-ით გაიზარდა. ეს აიხსნება მსოფლიო ბანკის ახალი პროექტის დაწყებით - „საქართველო I2Q - ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი.“ ქვემოთ, მე-17 დიაგრამაზე ნაჩვენებია განათლების სხვადასხვა ქვესექტორის წილი გაწეული დახმარების მიხედვით.



დიაგრამა 17 დახმარების წილი განათლებაში (ადამიანური კაპიტალის განვითარება)

## დემოკრატიული მმართველობა, კანონის უზენაესობა და მართლმსაჯულება

